



სსიპ გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის

კადეტთა სამხედრო ლიცეუმი

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა

კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარება მოსწავლეებში

ისტორიის მასწავლებელი: ზინა ბუბუტეიშვილი

ქუთაისი

- 2018 -

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი-----	3
თავი I	
1.1. პრაქტიკული კვლევის არსი და მისი დანერგვა სკოლაში-----	4
თავი II	
2.1. ინფორმაცია ლიცეუმის შესახებ, სამიზნე ჯგუფი-----	6
2.2. საკვლევი საკითხის მიმოხილვა-----	6
2.3. საკვლევი საკითხის აქტუალობა-----	7
თავი III	
3.1 ლიტერატურის მიმოხილვა-----	9
თავი IV	
4.1.საკვლევი კითხვების ფორმულირება -----	11
4.2.კვლევის მიზანი და ამოცანები -----	12
4.3. კვლევის ვადები-----	12
თავი V	
5.1. კვლევის მეთოდები-----	13
5.2. მონაცემთა ანალიზი-----	15
5.3. ჩარევის (ინტერვენციის) დაგეგმვა-----	18
თავი VI	
6.1. ინტერვენციების შედეგები და მათი ანალიზი-----	19
თავი VII	
7.1. მიგნებები, რეკომენდაციები-----	21
7.2. კვლევის ნაკლოვანებები-----	21
დასკვნა-----	22
რეფლექსია კვლევის შედეგების გაზიარების შესახებ-----	23
ბიბლიოგრაფია-----	24

კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარება მოსწავლეებში

შესავალი

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს სსიპ გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმში განხორციელებულ პრაქტიკული კვლევის ანგარიშს. კვლევა განხორციელა ამავე სკოლის სამმა პედაგოგმა:

ბელა აკობიძე - მათემატიკის მასწავლებელი

ზინა ბუბუტიეშვილი - ისტორიის მასწავლებელი

მურმან სურმავა - გეოგრაფიის მასწავლებელი

ნაშრომი შედგება შვიდი თავისაგან. I თავში მოცემულია პრაქტიკის კვლევის არსი, II თავში მოცემულია ინფორმაცია სკოლის შესახებ, საკვლევი საკითხის მიმოხილვა და დასაბუთებულია საკვლევი საკითხის აქტუალობა. III თავში განხილულია კვლევის დროს გამოყენებული ლიტერატურა. IV თავში გადმოცემულია კვლევის მიზნები, ამოცანები და განხორციელების ვადები. V თავში განხილულია კვლევის მეთოდები, გაკეთებულია მონაცემთა ანალიზი და შესაძლო ინტერვენციები. VI თავი ეხება ინტერვენციების შედეგებსა და მათ ანალიზს. VII თავში აღწერილია კვლევის ჯგუფის მიგნებები, რეკომენდაციები და კვლევის ნაკლოვანებები. ნაშრომის დასასრულს გაკეთებულია დასკვნა, რეფლექსია და ბიბლიოგრაფია.

თავი I

1.1. პრაქტიკული კვლევის არსი და მისი დანერგვა სკოლაში

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა მასწავლებლის ყოველდღიური საქმიანობის ნაწილია, რომელსაც გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად ახორციელებს. პრაქტიკის კვლევა არის პედაგოგების მიერ ჩატარებული ნებისმიერი სახის მეთოდური გამოკვლევა სწავლა-სწავლებისა და მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმაციის შეგროვებისა და გაუმჯობესების მიზნით. პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა არა მარტო წამოჭრილი სიმნელებების დროს არის საჭირო, არამედ საკუთარი ძლიერი მხარისა და პოტენციალის აღმოსაჩენად, ახალი იდეების, ინოვაციების გამოსაცდელად და ამ იდეების კოლეგებისთვის გასაზიარებლად. ყველაფერი ეს კი სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას, მასწავლებლის პროფესიული განვითარების ხელშეწყობას ემსახურება. „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის“ მიხედვით წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მოსაპოვებლად საკუთარი პედაგოგიური საქმიანობის დროს გამოკვეთილი პრობლემის ირგვლივ პრაქტიკული კვლევის განხორციელება ერთ-ერთი სავალდებულო აქტივობაა.

ეროვნული სასწავლო გეგმის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი მოსწავლეებში სააზროვნო უნარების განვითარებაა. მოსწავლე უნდა გაცდეს მასალის უბრალოდ დამახსოვრება-გაზეპირებას. მასწავლებელი უნდა დაეხმაროს მას კრიტიკული, შემოქმედებითი აზროვნების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. კადეტთა სამხედრო ლიცეუმში მოსწავლეები მოდიან საბაზო საფეხურის დასრულების შემდეგ, ძირითადად, აზროვნების ბლუმის ტაქსონომიის ქვედა დონით. ასეთი მოსწავლეებისთვის საგაკვეთილო პროცესი უინტერესოა, იგი მოდუნებულია, არ არის ჩართული აზროვნებაში. ამიტომ რთულია ლიცეუმის მიზნებისა და ამოცანების (საატესტატო და ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარება, ოლიმპიადებსა და კონფერენციებში მაღალი შედეგების მიღწევა და ა.შ.) შესრულება. ეს პრობლემა თანაბრად გვეხებოდა სამივე ჩვენგანს. მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების უნარის დეფიციტი საჯარო სკოლების საშუალო საფეხურის ერთ-ერთი პრობლემაა. ზოგადად, აღზრდის, განათლებისა და სწავლების პროცესები კოლექტიური ხასიათისაა. ამიტომ გავერთიანდით და 2017-2018 სასწავლო წელს ჩავატარეთ პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა თემაზე: „კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარება მოსწავლეებში“. კვლევა დავიწყეთ XI- XII კლასებში. კვლევის მიზანი იყო მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარების დროს შექმნილი პრობლემების ანალიზი და ამ პრობლემების გადაჭრის გზების მოძიება. კვლევის დროს გამოვიყენეთ კვლევის როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი მეთოდები.

ასევე განვახორციელეთ ინტერვეციები: კითხვარების შევსება შვიდი თვის განმავლობაში, თანაბარი სიძლიერის ჯგუფების შექმნა, ჯგუფური მუშაობები და დიფერენცირებული ჯგუფების შექმნა, სადაც შემაჯამებლებში მიღებული ქულების მიხედვით მოხდა

მოსწავლეების ჯგუფებში დიფერენცირება; პრაქტიკული კვლევები იწვევს სასარგებლო ცვლილებებს როგორც მასწავლებლებისთვის, ასევე მოსწავლეებისათვის. მასწავლებლების შემთხვევაში ეს არის მათი პროფესიული უნარ-ჩვევების დახვეწა და სწავლების პროცესის გაუმჯობესება. მოსწავლეების შემთხვევაში კი, ხდება მათი აკადემიური მოსწრების დონის ამაღლება.

ამერიკის პედაგოგთა ფედერაციის პრეზიდენტის, რადი ვაინგარტენის აზრით: „მასწავლებელი უნდა ფასდებოდეს იმისთვის, რომ მან გააუმჯობესოს სწავლება და არა იმისთვის, რომ დადგინდეს მისი რეიტინგი“. სწავლების გაუმჯობესება ნიშნავს არა მხოლოდ იმ სასწავლო ჯგუფის აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებას, რომელსაც მკვლევარი მასწავლებელი ასწავლის, არამედ სასწავლებელში სწავლების დონის ამაღლებას. ეს კოლეგებს შორის თანამშრომლობით, ინოვაციური იდეების და კვლევის შედეგების გაზიარებით მიიღწევა. წინამდებარე ნაშრომი ამის მოკრძალებული მცდელობაა. ორ თანამშრომელთან ერთად გავაკეთე კადეტთა კრიტიკული აზროვნების უნარის დეფიციტის კვლევა და ამ პრობლემის აღმოფხვრის გზების ძიება, თუმცა კვლევის პროცესში აქტიურად ვთანამშრომლობდი ლიცეუმის პედაგოგებთან. კვლევის შედეგები გავაცანით კოლეგებს და იმედი გვაქვს, რომ ჩვენი გამოცდილება დაეხმარება მათ პროფესიულ განვითარებასა და წინსვლაში.

კვლევის შედეგები: დაგეგმილი მეთოდებითა და განხორციელებული ინტერვეციების შედეგად კადეტები უფრო აქტიურად ჩაერთნენ საგაკვეთილო პროცესში; დაიწყეს სააზროვნო კითხვების დასმა, მოპოვებული ინფორმაციის დახარისხება და მიღებული ცოდნის ტრანსფერი; ამაღლდა კადეტთა მოტივაცია; გაიზარდა მათი ჩართულობა სასწავლო პროცესში და გაუმჯობესდა აკადემიური შედეგები.

თავი II

2.1. ინფორმაცია ლიცეუმის შესახებ, სამიზნე ჯგუფი

სსიპ გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმი ერთადერთი ავტორიზებული, სამხედრო ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლებელია საქართველოში. იგი პანსიონური ტიპისაა და კადეტები უზრუნველყოფილნი არიან საცხოვრებელი პირობებით, კვებით, სამედიცინო მომსახურებითა და სასწავლო ნივთებით. ლიცეუმში სწავლება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმისა და დამატებითი სამხედრო პროგრამის მიხედვით მიმდინარეობს. ლიცეუმს აქვს კეთილმოწყობილი სპორტული დარბაზი, ფეხბურთისა და ფრენბურთის ღია მოედანი, ბიბლიოთეკა, სიმულაციური ცენტრი.

ლიცეუმის მისიაა კადეტთა ინტელექტუალური, კულტურული, ფიზიკური და ზნეობრივი აღზრდა, საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის ადაპტირება, სამხედრო და სამოქალაქო ასპარეზზე სამშობლოს სამსახურისათვის კადეტთა მოსამზადებლად საფუძვლის შექმნა.

ლიცეუმში მიიღება ცხრაკლასდამთავრებული მოსწავლეები როგორც ვაჟები, ასევე გოგონები. ამჟამად ლიცეუმში სწავლობს 277 კადეტი, მათგან 31 გოგონაა. ლიცეუმში დასაქმებულია 43 პედაგოგი, მათგან 34 უფროსი მასწავლებლის სტატუსის მატარებელია, 8 წამყვანი, 1 პრაქტიკოსი მასწავლებელია. სსსმ მოსწავლე ლიცეუმში არ ირიცხება.

სამიზნე ჯგუფი, სადაც კვლევა განვახორციელებთ არის საშუალო საფეხური (XI-XII კლასები). კვლევა განხორციელდა 2017-2018 სასწავლო წელს და გრძელდებოდა 7 თვე. მე კვლევა ჩავატარე XI-XII კლასში (18 ვაჟი და 2 გოგონა).

2.2. საკვლევი საკითხის მიმოხილვა

„აზროვნება არის ადამიანის უნარი გამოიყენოს საკუთარი ცოდნა და გამოცდილება ახალი ინფორმაციის ანალიზისა და დასკვნების გაკეთებისთვის, მოვლენების მიმართ საკუთარი მოსაზრების, პოზიციის ჩამოყალიბებისათვის“ (მური, 2009).

საგნობრივი ცოდნის გარდა, განათლება მოსწავლეებში კონკრეტულ უნარებსაც უნდა ავითარებდეს და ამ უნარებს შორის წამყვანი ადგილი სწორედ კრიტიკულ აზროვნებას უჭირავს.

ბოლო წლებში დასავლეთის საგანმანათლებლო სივრცეში სულ უფრო ხშირად საუბრობენ მაღალი სააზროვნო უნარ-ჩვევების სწავლებაზე. მოსწავლემ ცოდნის დაგროვებასთან ერთად უნდა შესძლოს ამ ცოდნის გაგება, გამოყენება, ანალიზი, სინთეზი და ბოლოს, შეფასება. ამ დროს მოსწავლე არა მხოლოდ ფლობს ინფორმაციას, არამედ მას

შეუძლია ქმედება. საინტერესოა, რომ რაიმეს სწავლა სწორად აზროვნების შედეგია. კრიტიკული აზროვნება არის ის უნარი, რასაც მოსწავლე განვითარებისა და დასახული მიზნის მიღწევისკენ მიჰყავს.

კადეტთა სამხედრო ლიცეუმში სწავლა საშუალო საფეხურზე მიმდინარეობს. კადეტთა უმრავლესობას არ აქვს საკმარისი საბაზისო ცოდნა ისტორიაში, რასაც ადასტურებს დიაგნოსტიკური წერის შედეგები, სადაც კადეტთა 80% ვერ აკმაყოფილებს მინიმალურ ზღვარს. სწავლის პროცესში თავს იჩენს არაერთი პრობლემა, როგორცაა თუნდაც ბლუმის ტაქსონომიის მაღალი დონის უნარების დეფიციტი. უჭირთ დამოუკიდებლად პრობლემის გააზრება. არ აქვს ინტერესი საგნისადმი ან ერიდება კითხვის დასმა. მიჩვეული არიან „პროგრამირებულ“ სწავლებას, საკმარისია კითხვის შეცვლა და იგივე საკითხზე პასუხის გაცემა უჭირთ. არ შეუძლიათ ცოდნის ტრანსფერი, შესაბამისად, დაბალია სწავლის ხარისხი. პედაგოგებს სჭირდებათ უდიდესი ძალისხმევა შედეგის მისაღებად. ამ პრობლემების სათავე კრიტიკული აზროვნების უნარის დეფიციტია.

2.3. პრობლემის აქტუალობის დასაბუთება

სკოლის დანიშნულებაა აღზარდოს საზოგადოების სრულფასოვანი წევრი, მოსწავლეებს შეძინოს და განუვითაროს სოციალური წარმატებისა და თვითრეალიზაციისათვის საჭირო ცოდნა და უნარები, გამოუმუშაოს XXI საუკუნის უნარ-ჩვევები, რათა ისინი გახდნენ კონკურენტუნარიანები მსოფლიო გამოწვევების წინაშე. კრიტიკული აზროვნება ის უნარია, რომელიც დაეხმარება მოსწავლეს თავი გაართვას XXI საუკუნის მოთხოვნებს. კრიტიკულად მოაზროვნე ადამიანის მანიპულირება პრაქტიკულად შეუძლებელია. კრიტიკულად აზროვნება ეს დამოუკიდებლად აზროვნებაა. როცა მეცადინეობა კრიტიკული აზროვნების პრინციპებზეა აგებული, ყოველი მოსწავლე დამოუკიდებლად ახორციელებს საკუთარი იდეის, შეფასების, მრწამსის ფორმულირებას. ვერავინ იფიქრებს კრიტიკულად ჩვენს მაგივრად, ეს „პიროვნული“ საზრუნავია. შესაბამისად, აზროვნება კრიტიკულია მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ინდივიდუალური ხასიათისაა. მოსწავლეს საკმარისი თავისუფლება უნდა ჰქონდეს, რათა იფიქროს და დამოუკიდებლად გადაჭრას სხვადასხვა სირთულეების საკითხები.

კრიტიკულად მოაზროვნე ადამიანი პრობლემების მისეული გადაწყვეტის გზებს პოულობს და საკუთარ პოზიციას გონიერი, საფუძვლიანი საბუთებით განამტკიცებს. ასევე, აცნობიერებს პრობლემის გადაჭრის სხვა გზებსაც და შეუძლია დაამტკიცოს მის მიერ არჩეული გადაწყვეტილების ლოგიკურობა და რაციონალურობა. გავრცელებული მოსაზრების თანახმად, კრიტიკული აზროვნება წარმოადგენს ერთგვარ საძირკველს სხვა უნარების განვითარებისთვის

პრობლემა აქტუალურია ჩემთვის როგორც ისტორიის პედაგოგისთვის, რადგან მას შემდეგ რაც ლიცეუმის მოსწავლეების მზადება დავიწყე ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის, რათა მათ ჩააბარონ თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში, ნათლად წარმოჩნდა კრიტიკული აზროვნების უნარის დეფიციტი. თუ საატესტატო გამოცდების სირთულის დაძლევა პრობლემას არ წარმოადგენდა კადეტებისთვის, რადგან საატესტატო ფორმატი მხოლოდ ორი ტიპის დავალებისგან შედგებოდა: დახურული ტიპის შეკითხვები და ქრონოლოგიური პრინციპი, ეროვნული გამოცდების ფორმატი მოიცავს კიდევ 4 განსხვავებული ტიპის დავალებას: როგორცაა კარიკატურების ამოცნობა და დასაბუთება, რუკების ანალიზი, არგუმენტირებული მსჯელობა და წაკითხული ტექსტის გააზრება. ამ ტიპის დავალებებზე მუშაობისას გამოიკვეთა ის, რომ მოსწავლეებს უჭირთ მიღებული ცოდნის ტრანსფერი, მაღალი სააზროვნო უნარები, როგორცაა ანალიზი, სინთეზი და შეფასება, დარწმუნებულნი არ არიან საკუთარ გადაწყვეტილებაში, უჭირთ დამოუკიდებლად მუშაობა. სწორედ ამ პრობლემამ გადამაწყვეტინა დამემუშავებინა საკვლევი თემა, რადგან ვთვლი, რომ ჩემს მიერ კვლევის პროცესში განხორციელებული აქტივობები ხელს შეუწყობს ხარვეზის დაძლევას, მოსწავლეებ განუვითარდებათ მაღალი სააზროვნო უნარები, რაც საწინდარია ეროვნულ გამოცდაზე მაღალი შეფასების მიღებისა, ასევე ჩემს მიერ განხორციელებული კვლევის შედეგები და რეკომენდაციები ვფიქრობ საინტერესო იქნება კოლეგებისთვისაც, რადგან ინტერვენციის პერიოდში გამოყენებული აქტივობები, მიგნებები და რეკომენდაციები მათაც გაუადვილებს ამ პრობლემის მოგვარებას.

პრობლემის აქტუალობას ასაბუთებს ისიც, რომ კრიტიკული აზროვნების უნარის მოსწავლეებში გამომუშავების პრობლემა მხოლოდ ჩემ კლასში არ შეინიშნება. მასზე მუდმივად გვიწევს საუბარი კათედრაზე, სამასწავლებლოში. ამიტომაც გადავწყვიტეთ სამი განსხვავებული საგნის მასწავლებელმა ამ თემაზე გაგვეკეთებინა კვლევა. აღსანიშნავია, რომ ამ პრობლემაზე ვსაუბრობთ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ აკრედიტებულ ტრენინგებზეც.

თავი III

ლიტერატურის მიმოხილვა

არსებული პრობლემის დასაძლევად მოვიძიე და გავეცანი საჭირო ლიტერატურას. მათ შორის ავარჩიე და წავიკითხე ს.ლობჯანიძის სტატია „ როგორ ვაწარმოოთ პრაქტიკის კვლევა“ ინტერნეტ გაზეთში „ახალი განათლება“. სტატიაში განმარტებულია პრაქტიკის კვლევის არსი. ნათქვამია, რომ პრაქტიკის კვლევას არ სჭირდება მკვლევარობა, რადგან იგი არ არის მოწყვეტილი მასწავლებლის პრაქტიკას, არამედ მისი ყოველდღიური საქმიანობის ნაწილია. წერილში ასევე აღწერილია კონკრეტულად რა ნაბიჯები უნდა გადადგას მასწავლებელმა პრაქტიკის კვლევის განხორციელებისთვის, როგორ ხდება პრობლემის იდენტიფიცირება.

წიგნიერში, 2002-2004 წლებში გამოქვეყნებულისტატიებისანთოლოგიაში, გავეცანი დევიდ ქლუსტერის სტატიას: „რა არის კრიტიკული აზროვნება?“ სადაც ნათქვამია, რომ კრიტიკული აზროვნება არის დამოუკიდებლად აზროვნება, რომ კრიტიკული აზროვნება შესაძლებელია ნებისმიერ ასაკში და რომ კრიტიკული აზროვნება იმ საკითხთა დასმით, პრობლემათა განხილვით იწყება, რომლებიც გადაჭრასმოითხოვენ.

მეთოდოლოგიურ სახელმძღვანელოში „ როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს აზროვნება“ განხილულია ამერიკელი მეცნიერის, განათლების სპეციალისტისა და კოგნიტური მეცნიერების წარმომადგენლის დევიდ პერკინსის თეორია “სწავლება გაგებისათვის”, რომელიც „თეორია ერთის” სახელითაა ცნობილი. ამ თეორიის მიხედვით სწავლა ჩაღრმავებული აზროვნების, გაგების შედეგია.„თეორია ერთის“ ამოქმედებას ხელს უწყობს სწავლების შემდეგი მეთოდები: დიდაქტიკური, სოკრატული, პრაქტიკული და სოციალური, რომლებიც ეხმარება მოსწავლეს აზროვნების აქტივაციაში (პერკინს, 1992). სახელმძღვანელოში ნათქვამია, რომ აზროვნების სწავლება საკმაოდ ძველი იდეაა. ჯერ კიდევ ანტიკურ საბერძნეთში ბერძენი ახალგაზრდები სწავლობდნენ მათემატიკას და ფილოსოფიას აზროვნების გავარჯიშების მიზნით.

ინტერნეტ ჟურნალში „მასწავლებელი“ თამთა კობახიძე წერს, რომ სკოლის დანიშნულებაა აღზარდოს საზოგადოების სრულფასოვანი წევრი. ადამიანებს შესძინოს და განუვითაროს სოციალური წარმატებისა და თვითრეალიზაციისათვის საჭირო ცოდნა და უნარები, რათა მათ შეძლონ სწავლა, მუშაობა მრავალფეროვან საზოგადოებაში. განათლების მიზანია, ადამიანს მისცეს შესაძლებლობა, მუდმივად განაგრძოს განვითარება. სწავლის საგანი და სწავლის შედეგად მიღებული ცოდნა კი სწორედ ამის საშუალებას იძლევა.ფასეულობათა ცვლილებამ, ტექნიკურმა პროგრესმა და სხვა მრავალმა ფაქტორმა განათლების სისტემაც ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა. სწავლა–სწავლება გახდა მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე დაფუძნებული პროცესი. მასწავლებლის

მიზანიც მოსწავლეში იმ უნარ-ჩვევების განვითარებაა, რომლებიც დაეხმარება მას პრობლემების გადაჭრასა და საზოგადოებაში ადაპტირებაში.

გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გამოცემულ წიგნში „ეფექტიანი სწავლება“ გავცანი კრიტიკული აზროვნების ფაზებს: ინიცირება, შეფასება, შესწავლა, ალტერნატიული პერსპექტივის შემუშავება და განვითარება, ინტეგრაცია.

ვარაუდის იდენტიფიცირება შინაგანი დისკომფორტის გრძნობას უქმნის ადამიანს. მისი აღმოფხვრის მიზნით მაპროვოცირებელი მოვლენა ბიძგს აძლევს აზროვნების პროცესის დაწყებას. შეფასების ეტაპზე ადამიანი თვითნაწილობაში ერთვება. შესწავლის ეტაპზე კი იწყებს დისკომფორტის დაძლევის მისთვის მისაღები გზების ძიებას. ალტერნატიული პერსპექტივის შემუშავებისა და განვითარების ფაზა ერთგვარი გარდამავალი საფეხურია ძველსა და ახალ ვარაუდებს შორის. მას შემდეგ, რაც ალტერნატიული ვარაუდები საბოლოოდ შემუშავებული და გაანალიზებულია, მნიშვნელოვანი ხდება ამ სიახლეების ინტეგრირება.

ამრიგად, სხვადასხვა ლიტერატურის დამუშავებისას გავცანი რამდენიმე აქტივობას, რომლის გამოყენებითაც შევძლებ გაკვეთილი გავხადო უფრო საინტერესო და დავეხმარო კადეტებს სააზროვნო უნარ-ჩვევების განვითარებაში.

თავი IV

4.1. საკვლევი კითხვების ფორმულირება

პრობლემაზე დაკვირვების შემდეგ გადავწყვიტეთ და ჩამოვყალიბდით თუ რა იქნებოდა ჩვენი კვლევის ორიენტირი. აქედან გამომდინარე შევიმუშავეთ მთავარი საკვლევი კითხვა:

როგორ, რა მეთოდებით, რომელი კონკრეტული აქტივობების დანერგვით, საჭირო რესურსების გამოყენებით შეიძლება განუვითაროთ მოსწავლეებს კრიტიკული აზროვნება ისტორიის გაკვეთილზე?

კვლევის მთავარ კითხვაში აღნიშნული პრობლემის მიზეზების დადგენაში დაგვეხმარება შემდეგ ქვეკითხვებზე პასუხის გაცემა:

- არის თუ არა გაკვეთილზე თანამშრომლობითი პოზიტიური გარემო?
- როგორ გავხადოთ გაკვეთილი კადეტებისთვის საინტერესო და პროდუქტიული?
- ხომ არ მდგომარეობს პრობლემის მიზეზები მათ პიროვნულ თვისებებში?
- როგორ დავეხმაროთ მოსწავლეებს ისწავლონ კითხვის დასმის სტრატეგია-მარტივიდან რთულისკენ, შეძლონ დებატებისა და დისკუსიების წარმართვა და საკითხის ობიექტურად შეფასება?
- შეუძლიათ თუ არა კადეტებს ინფორმაციის დახარისხება-დაჯგუფება?
- ყველაზე ეფექტურად რომელი აქტივობები და სტრატეგიები დამეხმარება გაგება-გააზრების უნარის განვითარებისათვის?
- რა როლს ასრულებს კადეტების აზროვნების განვითარებაში ციფრული ტექნოლოგიები?
- როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს წერილობითი წყაროებისა და ინტერნეტრესურსების მოძიება და გაანალიზება, მიღებული ინფორმაციის დახარისხება და მისი ავთენტურობის დადგენა?
- აქვთ თუ არა კოლეგებს გაკვეთილზე კადეტების კრიტიკული უნარის დეფიციტის პრობლემა?
- მზად არიან თუ არა პედაგოგები კრიტიკული აზროვნების განვითარების ხელშეწყობის მიზნით დანერგონ საკუთარ პრაქტიკაში შესაბამისი სტრატეგიები?

4.2. კვლევის მიზანი და ამოცანები

კვლევის მიზანი იყო მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარების დროს შექმნილი პრობლემების ანალიზი და ამ პრობლემების გადაჭრის გზების მოძიება.

კვლევის ამოცანებია:

- ✓ განვავითაროთ კადეტებში კრიტიკული აზროვნების უნარი
- ✓ შევქმნათ გაკვეთილზე თანამშრომლობითი გარემო და გამოვიყენოთ ისეთი აქტივობები, რაც დაგვეხმარება სააზროვნო უნარების განვითარებაში
- ✓ დავხმაროთ მოსწავლეებს შეძლონ ბლუმის ტაქსონომიის მიხედვით კითხვების დასმა.
- ✓ ვასწავლოთ მიღებული და მოძიებული ინფორმაციის დახარისხება და ავთენტურობის დადგენა.
- ✓ შევადგინოთ მზაობა, საკუთარ პრაქტიკაში დანერგონ კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარებისათვის საჭირო სტრატეგიები.

4.3. კვლევის ვადები

აქტივობები	თვე										
	IX	X	XI	XII	I	II	III	IV	V	VI	
პრობლემის იდენტიფიცირება			○								
გეგმის შემუშავება			○								
მონაცემების შეგროვება				○	○						
კითხვარის შედგენა				○							
გამოკითხვა					○	○	○				
გამოკითხვის შედეგების ანალიზი/დამუშავება					○						
ინტერვენციების შემუშავება						○					
ინტერვენციების განხორციელება						○	○				
ინტერვენციების ანალიზი და დასკვნების გამოტანა								○			
კვლევის ანგარიშის გაფორმება									○		
კვლევის ანგარიშის გაზიარება კოლეგებისა და დირექციისათვის									○		

თავი V

5.1. კვლევის მეთოდები

კვლევის დროს გამოვიყენეთ კვლევის როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი მეთოდები.

რაოდენობრივი: ინტერვიუ; დახურული და ანონიმური ანკეტირება.

თვისებრივი: ფოკუსირებული და შერჩევითი დაკვირვება; ფოკუს-ჯგუფი.

თვისებრივი მეთოდებიდან გამოვიყენეთ ფოკუსირებული და შერჩევითი დაკვირვება, ფოკუს-ჯგუფი. ფოკუსირებული და შერჩევითი დაკვირვების დროს პედაგოგებმა საკვლევი საკითხები გავინაწილეთ საგნების სპეციფიკურობიდან გამომდინარე:

ისტორია:

რამდენად შეუძლიათ მოსწავლეებს დამოუკიდებლად წყაროებზე მუშაობა, მისი კრიტიკული შეფასება, დახარისხება, დებატებისა და დისკუსიების წარმართვა.

მათემატიკა:

რამდენად აქვთ მოსწავლეებს მიღებული ცოდნის ტრანსფერის, არგუმენტირებული მსჯელობის უნარი, შეუძლიათ თუ არა გამოყონ ძირითადი მეორეხარისხოვნისგან და დაასაბუთონ თავიანთი არჩევანი.

გეოგრაფია:

რამდენად ფლობენ მოსწავლეები კითხვის დასმის სტრატეგიებს ბლუმის ტაქსონომიის მიხედვით, არგუმენტირებული მსჯელობის, დისკუსიებისა და დებატების წარმართვის უნარი.

შევექმნით 4 ფოკუს ჯგუფი: 2 კადეტების (XI-XII კლასი) და 2 პედაგოგების. კადეტების თითოეული ჯგუფი შედგებოდა 10 წევრისაგან, ხოლო პედაგოგების - 5 წევრისაგან. ფოკუს ჯგუფებზე დაკვირვებით გამოვკვეთეთ კვლევისთვის მნიშვნელოვანი საკითხები. აღმოვაჩინეთ საინტერესო თემები, გაჩნდა ახალი ჰიპოთეზები. ფოკუს - ჯგუფმა რესპოდენტებს მისცა საშუალება თითოეულს გამოეთქვა საკუთარი აზრი, რამაც საშუალება მოგვცა გავვეკეთებინა გარკვეული დასკვნები.

კვლევის რაოდენობრივ მეთოდებში გამოვიყენეთ ზეპირი ინტერვიუ. რესპოდენტებს დავუსვით წინასწარ მომზადებული კითხვები:

კადეტები:

- ❖ როგორ ფიქრობთ, პოზიტიურია თუ არა საგაკვეთილო გარემო და რატომ?
- ❖ როგორ ფიქრობთ, ადეკვატურია თუ არა სახელმძღვანელოში მოცემული მასალა თქვენს ასაკთან მიმართებაში?
- ❖ ხშირად მოიძიებთ თუ არა სწავლის პროცესში დამატებით რესურსებს?
- ❖ როგორ ფიქრობთ, კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარებისთვის სწავლების რომელი მეთოდი უფრო ეფექტურია: სოკრატული თუ დიდაქტიკური?

მასწავლებლები:

- ❖ როგორ უზრუნველყოფთ გაკვეთილზე პოზიტიური გარემოს შექმნას?
- ❖ ხშირად იყენებთ თუ არა დებატებისა და დისკუსიის მეთოდებს?
- ❖ რამდენად აქვთ განვითარებული თქვენს მოსწავლეებს მაღალი სააზროვნო უნარები?
- ❖ სწავლების რომელ მეთოდს ანიჭებთ უპირატესობას დიდაქტიკურს თუ სოკრატულს და რატომ?

კვლევაში ასევე გამოვიყენეთ სხვადასხვა ტიპის ანკეტირება: დახურული და ანონიმური.

დახურული ანკეტირებისას გამოვიყენეთ შემდეგი შეკითხვები:

- მოქმედებს თუ არა საგაკვეთილო გარემო სწავლის მოტივაციაზე?
კი არა
- გიჭირთ თუ არა წაკითხულის გააზრება?
კი არა
- შეგიძლიათ თუ არა ცოდნის ტრანსფერი?
კი არა
- შეგიძლიათ თუ არა დამოუკიდებლად მუშაობა?
კი არა
- შეგიძლიათ თუ არა დებატებსა და დისკუსიებში მონაწილეობის მიღება?
კი არა


კვლევის პროცესში განხორციელდა ონლაინ ანონიმური გამოკითხვა, რადგან ასეთ შემთხვევაში რესპოდენტები არიან გულწრფელები და შესაბამისად, გაცემული პასუხებიც ზუსტი და სანდოა.

5.2. მონაცემთა ანალიზი


კვლევაში გამოყენებული მეთოდების საფუძველზე მიღებული მონაცემების დახარისხების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი სურათი:

ფოკუსირებულმა და შერჩევითმა დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ:


- გამოკითხულ მოსწავლეთა 45%-ს არ შეუძლია წყაროებზე მუშაობა და მისი კრიტიკული შეფასება, 30% დამოუკიდებლად ვერ ართმევს თავს დასახულ ამოცანას, დამოუკიდებლად მუშაობს 25%.



➤ მიღებული ინფორმაციის დახარისხება არ შეუძლია 10 მოსწავლეს, მეტ-ნაკლებად წარმატებით თავს ართმევს 8 მოსწავლე, ხოლო - 2 წარმატებით ართმევს თავს.



➤ გამოკითხულ მოსწავლეთა 5% არ შეუძლია დისკუსიებსა და დებატებში მონაწილეობის მიღება, 10% ნაწილობრივ ჩართულია, 40% - ჩართულია, ხოლო - 25% აქტიურადაა ჩართული.



კვლევის დროს გამოვიყენეთ ზეპირი ინტერვიუ, რომლის დროსაც მიღებულმა შედეგებმა მიჩვენა, რომ :

- I. მოსწავლეებს საგაკვეთილო გარემო პოზიტიურად მიაჩნიათ:
 1. მოწერილებული ინფრასტრუქტურის გამო - 100%
 2. მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის თანამშრომლობითი ურთიერთობის გამო- 80%
 3. სწავლების პროცესში მრავალფეროვანი აქტივობების გამოცენების გამო - 60%
- II. სახელმძღვანელოში მოცემული მასალის ასაკთან შესაბამისობას დადებითად აფასებს - 20%, უარყოფითად - 80%.
- III. სწავლის პროცესში დამატებით რესურსებს არ მოიძიებს მოსწავლეთა 40%, იშვიათად მოიძიებს- 40%, ყოველთვის მოიძიებს-20%
- IV. კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარებისთვის სწავლების სოკრატულ მეთოდს ეფექტურად მიიჩნევს - 30%, ხოლო დიდაქტიკურს -70%

კვლევის დროს გამოვიყენეთ ზეპირი ინტერვიუ, რომლის დროსაც მიღებულმა კვლევის პროცესში გამოკითხული პედაგოგებიდან

- I. პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნას ახერხებს:
 1. მოსწავლესთან თანამშრომლობითი ურთიერთობით- 9
 2. მრავალფეროვანი სასწავლო რესურსებით - 6
 3. მოტივაციის ამაღლებით - 7
- II. გაკვეთილზე დებატებსა და დისკუსიებს ხშირად მართავს - 4
- III. გამოკითხულ მასწავლებელთა კლასებში მაღალი სააზროვნო უნარების მქონე მოსწავლეთა რაოდენობაა - 20%
- IV. ჰუმანიტარული საგნის მასწავლებლები უპირატესობას ანიჭებენ სწავლების სოკრატულ მეთოდს, რადგან თვლიან რომ აღმოჩენებით სწავლა უფრო გაზრდის მოსწავლეთა მოტივაციას და განუვითარებს კრიტიკულ აზროვნებას, ხოლო ტექნიკური საგნების მასწავლებლები თვლიან, რომ უპირატესია სოკრატული მეთოდი, მაგრამ მოსწავლეთა შესაბამისი უნარ-ჩვევების ნაკლებობის გამო ამ მეთოდს იშვიათად იყენებენ.

ანკეტირების შედეგები:

ისტორია

	კი	არა
მოქმედებს თუ არა საგაკვეთილო გარემო სწავლის მოტივაციაზე?	90%	10%
გიჭირთ თუ არა წაკითხულის გააზრება?	70%	30%
შეგიძლიათ თუ არა ცოდნის ტრანსფერი?	10%	90%
შეგიძლიათ თუ არა დამოუკიდებლად მუშაობა?	40%	60%
შეგიძლიათ თუ არა დებატებსა და დისკუსიებში მონაწილეობის მიღება?	30%	70%

5.3. ჩარევის (ინტერვენციის) დაგეგმვა

მონაცემთა ანალიზის საფუძველზე მოხდა მიღებული ინფორმაციის შეჯამება, მოვახდინეთ მისი დახარისხება, ანალიზი და თითოეულმა მასწავლებელმა საკუთარი საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე დაგვემთხროს შესაბამისი ინტერვენციები.

- გონებრივი იერიში
- T სქემა
- ვენის დიაგრამა
- ასოციაციური კავშირების რუკა (ა.კ.რ.)
- რეიტინგი
- ღია შეკითხვები (ჰიპოთეტური, განსჯითი, წამახალისებელი, მასტიმულირებელი, შემაჯამებელი, კვლევითი, შემათანხმებელი.)
- დისკუსია და დებატები
- პროექტი
- სამოდელო გაკვეთილი
- შემაჯამებელი სამუშაო

თავი VI

6.1. ინტერვენციების შედეგები და მათი ანალიზი

ინტერვენციების დაგეგმვის შემდეგ დავიწყე მათი განხორციელება. პირველ რიგში შევქმენი, როგორც თანაბარი სიძლიერის, ასევე დიფერენცირებული ჯგუფები, სადაც მოვახდინე მოსწავლეთა დიფერენცირება შემაჯამებელ სამუშაოში მიღებული ქულების მიხედვით. დავიწყე სტრატეგიებზე მუშაობა ბლუმის ტაქსონომიის მიხედვით მარტივიდან რთულისკენ. პირველ რიგში გამოვიყენე დახარისხების უნარის განვითარებისათვის საჭირო მეთოდები, როგორცაა ა.კ.რ., გონებრივი იერიში, ვენის დიაგრამა, T სქემა, რეიტინგი.

ამ აქტივობათა მიზანს შეადგენდა ინფორმაციის შეკრების, დაჯგუფების, თემის გააზრების, დასკვნების გაკეთების, შეპირისპირების და ლოგიკური აზროვნების უნარ-ჩვევების გამომუშავება. ამ მეთოდების გამოყენებამ გაააქტიურა მოსწავლეთა მაღალი სააზროვნო უნარები, რამაც საშუალება მომცა გადავსულიყავი შემდეგ მეთოდზე, როგორცაა ღია შეკითხვების გამოყენება.

ჰიპოთეტური კითხვა - „რას იფიქრებ ან მოიმოქმედებ შენ, თუ?“ ასეთი მეთოდი მოსწავლეს ეხმარება წარმოსახვის უნარის განვითარებაში, მიმართავს მის გონებას ფიქრისა და განსჯისკენ.

განსჯითი - „როგორ შეგვიძლია ხელი შევუწყოთ ამ პრობლემის გადაჭრას? მოსწავლეს უვითარებს მაღალ სააზროვნო უნარებს.

წამახალისებელი - „საინტერესოა რა მოხდა შემდეგ?“ მოსწავლე ახდენს შთაბეჭდილებებისა და გამოცდილების გაზიარებას.

მასტიმულირებელი - „რა აზრის ხარ?“ მასწავლებელი აგრძნობინებს მოსწავლეს, რომ მისი აზრი მნიშვნელოვანია.

კვლევითი - „რატომ ფიქრობ ასე?“ ხელს უწყობს მოსწავლეს, დაუფიქრდეს საკითხს, შემდგომ საკუთარი აზრის დასაბუთება.

შემაჯამებელი - „რატომ ფიქრობთ ასე?“ მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა გააანალიზონ მეგობრის მოსაზრება, განსაზღვრონ, ეთანხმებიან თუ არა მას.

შემათანხმებელი - „ეთანხმებით თუ არა გამოთქმულ მოსაზრებას?“ ამ შეკითხვით შეიძლება კამათის პროვოცირება ან კამათის დასრულება. მასწავლებელი უნდა ეცადოს კონსენსუსის მიღწევას ან, თუ ეს შეუძლებელია ახდენს განსხვავებული აზრის დაფიქსირებას და საკითხს ტოვებს ღიად. მეორე შემთხვევაში ამას ახდენს შეკითხვით- „შეიძლება თუ არა ეს საკითხი გარკვეულად ჩაითვალოს?“

ინტერვენციის სწორად წარმართვამ, რომლის ფიქრის საფუძველს მამლევდა კადეტების გამოვლენილი ცოდნა და უნარები, საშუალება მომცა გადავსულიყავი შემდეგ ეტაპზე, როგორც იყო დისკუსიებისა და დებატების ჩატარება. მოსწავლეები პასუხისმგებლობით მოეკიდნენ დავალებას, აქტიურად ჩაერთნენ მის განხორციელებაში, რამაც მათ

თავდაჯერებულობა და საკუთარი თავის რწმენა შემატა. ამავე დროს დაანახა ხარვეზები ცოდნასა და ლოგიკურ აზროვნებაში.

ჩავატარე გამჭოლი კომპეტენციების განვითარებაზე ორიენტირებული სამოდელო გაკვეთილი (XII კლასი), თემაზე „საბჭოთა კავშირის დაშლა“. გაკვეთილი გათვლილი იყო ე.ს.გ. სტანდარტზე: ისტ. XII.6. მოსწავლეს შეუძლია მსჯელობა საზოგადოების ცნობიერებაზე ახალი და უახლესი ისტორიის პერიოდში ჩამოყალიბებული სტუქტურების გავლენის შესახებ.

შედეგი თვალსაჩინოა თუ:

- განმარტავს პოლიტიკური პარტიის ცნებას და აცნობიერებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მის მნიშვნელობას
- ირჩევს რომელიმე აქტუალურ პრობლემას, მოიპოვებს ინფორმაციას, რომლის ანალიზის საფუძველზე წერს კონკრეტული პრობლემის გადაჭრის გეგმას.

გაკვეთილმა კადეტებს ხელი შეუწყო გამომუშავებულიყო შემდეგი უნარ-ჩვევები:

- პრობლემის გააზრების, ანალიზისა და დასკვნების გაკეთების უნარი;
- ინფორმაციის მოპოვების, კლასიფიკაციის, ინტერპრეტაციისა და პრეზენტაციის უნარი;
- ვარაუდების გამოთქმის უნარი;
- არგუმენტირებული მსჯელობის უნარი;
- მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენის უნარი.

კვლევის განმავლობაში XII კლასში განვახორციელე საგანმანათლებლო პროექტი „შეიცან საქართველო შენი“, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეებმა განიხილეს ქვემო ქართლის რეგიონი, პრობლემები და იმსჯელეს მისი გადაჭრის გზებზე. აღნიშნულმა მეთოდმა მოსწავლეებს განუვითარა ინფორმაციის მოპოვების და დახარისხების, თანამშრომლობითი, ანალიზის და შეფასების უნარი.

ინტერვენციის პერიოდში ჩემს მიერ განხორციელებული აქტივობების შედეგებს სისტემატიურად ვამოწმებდი შემაჯამებელი სამუშაოების საშუალებით, სადაც გამოიკვეთა მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარეები, ჩემთვის გასაგები გახდა თუ რა ტიპის დავალებებს ართმევდნენ თავს შედარებით ადვილად და რა მიმართულებით ჰქონდათ ხარვეზი, რაც განაპირობებდა შემდგომში ჩემს ადეკვატურ რეაგირებას.

თავი VII

7.1. მიგნებები, რეკომენდაციები

კვლევის შედეგების ანალიზის მიხედვით შეიძლება ითქვას რომ სასურველია შეიცვალოს სასკოლო სახელმძღვანელოები და უნდა მოხდეს საგნობრივ სტანდარტში ცვლილების შეტანა განსაკუთრებით მეათე კლასში, რადგანაც სასწავლო პროგრამა მოიცავს ისტორიის კურსის შესავალ ნაწილს, რომელიც ნაკლებ პროდუქტიულია, მაშინ როცა მე-11 კლასის სახელმძღვანელო გადატვირთულია ფაქტებითა და მოვლენებით და მისი შესწავლა 1 სასწავლო წლის განმავლობაში დიდ ძალისხმევას მოითხოვს მოსწავლეთა მხრიდან, მითუმეტეს, რომ მე-11 კლასში მოსწავლეები აბარებენ 4 საატესტატო საგანს.

პრაქტიკული კვლევის დროს გამოყენებულმა აქტივობებმა აჩვენა, რომ მათი ხშირი გამოყენება საგაკვეთილო პროცესში მკვეთრად ააქტიურებს აზროვნებას და ანვითარებს მოსწავლეთა მაღალ სააზროვნო უნარებს. ამიტომ სასურველია მსგავსი აქტივობები საგაკვეთილო პროცესში შეძლებისდაგვარად ხშირად გამოყენება.

სასურველია პერიოდულად იქნას გამოყენებული მოსწავლეთა ანონიმური ანკეტირება, რომელიც საშუალებას მოგვცემს სასწავლო პროცესში პრობლემის იდენტიფიცირებისა და მისი პრევენციისათვის.

აუცილებელია მეტი თავისუფალი გაკვეთილებისა და ინტეგრირებული პროექტების განხორციელება, რაც მეტად საინტერესოს გახდის მოსწავლეთათვის სწავლების პროცესს, მოსწავლეებს განუვითარდებათ მაღალი სააზროვნო უნარები. თემატიკა შერჩეული უნდა იყოს მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით. სასურველია ყველა გაკვეთილი ჩატარდეს ისტ-ის გამოყენებით.

7.2. კვლევის ნაკლოვანებები

კვლევის ნაკლად მიგვაჩნია ის ფაქტორი, რომ კვლევაში მონაწილეობას ღებულობდა მოსწავლეთა და მასწავლებელთა ფოკუსჯგუფთა თანაბარი რაოდენობა. რადგან კვლევა ხორციელდებოდა მოსწავლეთა საჭიროებაზე, კარგი იქნებოდა კვლევაში ჩართული ყოფილიყო კადეტთა მეტი რაოდენობა. მაგალითად, პედაგოგთა ერთი და კადეტთა სამი ჯგუფი.

დასკვნა

ლიცეუმში ჩატარებული პრაქტიკული კვლევის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კადეტთა უმრავლესობაში კრიტიკული აზროვნების უნარის დეფიციტის მიზეზები შემდეგია:

- კადეტებში დაბალი საბაზისო ცოდნის არსებობა
- სასკოლო სახელმძღვანელოებში არსებული მასალის ნაკლოვანებები
- კადეტთა პიროვნული თავისებურებები
- კადეტებში არგუმენტირებული მსჯელობისა და დასაბუთების უნარის ნაკლებობა
- წაკითხულის გააზრებისა და ცოდნის ტრანსფერის უნარის ნაკლებობა

პრობლემების აღმოსაფხვრელად გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები. გატარებული ინტერვენციების შეფასებისას გამოიკვეთა, რომ მათი უმრავლესობა შედეგიანი იყო. აღნიშნულმა კვლევამ დიდი გამოცდილება შემძინა. გავცანი ლიტერატურას კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარების შესახებ და გავიღრმავე ცოდნა იმის შესახებ, თუ როგორ განვაავითარო კადეტებში კრიტიკული აზროვნების უნარი.

რაც შეეხება კვლევას, უფრო ღრმად გავიაზრე კვლევის ჩატარების ყველა ეტაპი და თავად კვლევის მნიშვნელობა, როგორც კადეტებისთვის, ასევე პედაგოგებისთვის. მივხვდი, რომ ზოგადად კვლევა დიდ შრომასა და ძალისხმევას მოითხოვს, რაც ნაწილობრივ შემისუბუქდა იმით, რომ კოლეგებმა ერთად ვითანამრომლეთ და გადავინაწილეთ მთელი სამუშაო. კვლევის ერთობლივად ჩატარებით გაიზარდა კოლეგების მოტივაცია და მუშაობა უფრო ეფექტური გამოდგა. მივხვდი, რომ ერთობლივი მუშაობის დროს ფუნქციათა სწორი დელეგირებით შედეგზე გავდივართ სწრაფად და ხარისხიანად.

რეფლექსია კვლევის შედეგების გაზიარების შესახებ

2017-2018 სასწავლო წელს სსიპ გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმში ჩავატარე პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა თემაზე: „კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარება მოსწავლეებში“. თემა მივიჩნეო აქტუალურად, რადგან ამ უნარის განვითარების გარეშე შეუძლებელია მოსწავლემ საატესტატო და მით უმეტეს ეროვნულ გამოცდაში მიაღწიოს წარმატებას, რაც ლიცეუმის ერთ-ერთი პრიორიტეტია. ეს პრობლემა საერთო აღმოჩნდა ჩემი კოლეგებისთვისაც და სწორედ აქედან დაიბადა იდეა ერთობლივი კვლევის ჩატარების შესახებ, რომელიც 7 თვის განმავლობაში მიმდინარეობდა.

კვლევის დროს ჩემი მიზანი იყო საშუალო საფეხურზე მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარება ისტორიის უკეთ შესწავლისა და აკადემიური მოსწრების ამაღლების მიზნით. მონაცემთა ანალიზის შეგროვების და მათი გაანალიზების შედეგად დაიგეგმა ინტერვენციები, რომელთა შემოწმებასაც პეროდულად ვახორციელებდი შემაჯამებელი სამუშაოების შედეგებით. კადეტები ინტერესითა და პასუხისმგებლობით მოეკიდნენ თითოეულ აქტივობას. ერთობლივი ძალისხმევით შედეგზე გავედით.

კვლევის მიმდინარეობაში ლიცეუმის დანარჩენი პედაგოგების ჩართვამ რესპოდენტების სახით გამოიწვია მათი დაინტერესება პრაქტიკული კვლევის მიმართ. მოხდა კოლეგების დასწრება სამოდულო გაკვეთილზე, სადაც ჩემს მიერ მომზადებულ კითხვარებით მივიღე მათი უკუკავშირი სადაც გამოჩნდა, რომ ზოგიერთი ჩემს მიერ განხორციელებული აქტივობა მათთვის საინტერესო და მისაღები აღმოჩნდა და თავადაც გამოთქვეს სურვილი მათი საკუთარ პრაქტიკაში გამოყენების. მათთან ხშირი დიალოგი და ანკეტირება დამეხმარა კვლევის განხორციელებაში. თავის მხრივ, ვფიქრობ, ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევა დაეხმარება კოლეგებს საკუთარი პედაგოგიური საქმიანობის დახვეწაში. განსაკუთრებით, ჰუმანიტარული საგნების კოლეგებისათვის აღმოჩნდა კვლევა და განხორციელებული აქტივობები საინტერესო და შედეგზე ორიენტირებული. მათ გამოთქვეს სურვილი საკუთარ პრაქტიკაში დანერგონ კვლევის დროს გამოყენებული აქტივობები.

ბიბლიოგრაფია

1. ს. ლობჯანიძე- როგორ ვაწარმოთ პრაქტიკის კვლევა - კულტურულ-საგანმანათლებლო გაზეთი „ახალი განათლება“ , 2016 <http://axaliganatleba.ge>
2. ინასარიძე მ, ლობჯანიძე ს, რატიანი მ, სამსონია ი. - „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის სქემის გზამკვლევი“ , ნაწილი II, მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2016 http://tpdc.gov.ge/uploads/pdf_documents/gzankvlevi%20meore%20nawili.pdf
3. დევიდ ქლუსთერი - რა არის კრიტიკული აზროვნება? - წიგნიერი, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 2002-2004. <http://www.nplg.gov.ge>
4. სიმონ ჯანაშია, თეა ბერძენიშვილი, შორენა სამაგლიშვილი, მზია წერეთელი, კახა გაბუნია, გიორგი გახელაძე, ზაქრო გიუნაშვილი, ნინო დობორჯგინიძე, გიორგი ზედგინიძე, რუსუდან თაყაიშვილი, მარიკა კაპანაძე, ლაშა კოკილაშვილი, ეკატერინე კორძაძე, ანა მხეიძე, ბუბა ოჩიაური, მანანა რატიანი, ნათია საღინაძე, თინა სალაყაია, მარიკა სიხარულიძე, ეკატერინე სლოვინსკი, მარინა ჩხიკვაძე, თამარ ჯაყელი - როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს აზროვნება (მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო), საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 2007. <http://www.nplg.gov.ge>
5. სასწავლო და პროფესიული გარემო - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2011.
6. სწავლება და შეფასება - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2011.
7. განვითარებისა და სწავლის თეორიები - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2011.
8. ეფექტიანი სწავლება - გამოცდების ეროვნული ცენტრი, 2010.
9. მასწავლებელი.ჯი -<http://mastsavlebeli.ge/?p=1679>